მე მებრძანა რომ ვებრძოლო ხალხს, სანამ არ დაამოწმებენ, რომ არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია. ასევე, რომ აღასრულონ ლოცვა და გადაიხადონ ზაქათი

აბდულლაჰ იბნ უმარის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი გადმოცემით), ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მე მებრძანა რომ ვებრძოლო ხალხს, სანამ არ დაამოწმებენ, რომ არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია. ასევე, რომ აღასრულონ ლოცვა და გადაიხადონ ზაქათი. თუ ისინი ამას გააკეთებენ, დაცულნი იქნებიან ჩემგან თავიანთი სიცოცხლითა და ქონებით, გარდა ისლამის მიერ დადგენილი უფლებებისა, ხოლო მათი ანგარიში ალლაჰთან დარჩება».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ალლაჰმა უბრძანა მას მრავალღმერთიანების წინააღმდეგ ბრძოლა, სანამ ისინი არ დაამოწმებენ, რომ არ არსებობს ჭეშმარიტი თაყვანისცემის ღირსი ღმერთი ალლაჰის გარდა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, და არ დაამოწმებენ, რომ მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია. ასევე, მათ უნდა იცხოვრონ ამ მოწმობის შესაბამისად, რაც გულისხმობს ხუთი სავალდებულო ლოცვის შესრულებას ყოველ დღე და ღამე, და ზაქათის გადახდას მათთვის, ვინც მას იმსახურებს. თუ ისინი ამ საქმეებს შეასრულებენ, ისლამი დაიცავს მათ სიცოცხლესა და ქონებას, და მათი მოკვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი ჩაიდენენ დანაშაულს ან ისეთ ქმედებას, რომელიც ისლამის კანონების მიხედვით სიკვდილით დასჯას იმსახურებს. რაც შეეხება აღდგომის დღეს, ალლაჰი თვითონ გაასამართლებს მათ, რადგან ის ყოველგვარი საიდუმლოსა და გულში დაფარულის მცოდნეა.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4211